ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №22

18 მაისი, 2023 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, სოფიო ჯაფარიძე და გიორგი შარაშიძე.

მოწვეული სტუმარი: ელენე ჭკუასელი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ დირექტორი.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (წერილი №12-032313081-03; 10.05.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

მომხსენებელი: ლევან მიქავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ (წერილი №12-032311784-03; 27.04.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

მომხსენებელი: სოფიო უგრეხელიძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით; იზრდება გრანტების ნაწილში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები 150,0 ათასი ლარით (მათ შორის ჩინეთის საელჩოსთან გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ატენის ქ. №16-ში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და აფხაზეთის ქ. №23-ში (წყნეთის ტყე-პარკის ტერიტორია) ორი ერთეული ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობა – 130,0 ათასი ლარი, ხოლო ევროპის საბჭოსთან გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტის – „ინფორმაციის საჯარო სერვისებსა და პროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდას თბილისის მუნიციპალურ სამსახურებში“ განხორციელების მიზნით – 20,0 ათასი ლარი), სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 3 700,0 ათასი ლარით, სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები – 22 764,6 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 26 614,6 ათასი ლარით და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომაზე განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება: პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 600,0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	1 (გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა

უმრავლესობით დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა" (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის" (ს/ნ405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე".

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს სოფიო უგრეხელიძეს, რომლის განცხადებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის" დაფუძნების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 2 მარტის №23.264.310 განკარგულებით დაფუძნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საჯარო ხელოვნების ფონდი (ს/ნ 405605484), რომლის საქმიანობის მიზანსაც წარმოადგენს ხელი შეუწყოს: თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაციას, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობას საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის; გამოფენებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერას და მათი შემოქმედებით ზრდის წახალისებას; ღია კონკურსების მეშვეობით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას და ხელოვანების, მათ შორის ახალგაზრდა ხელოვანების ექსპერიმენტული, ინოვაციური, შემოქმედებითი და მასშტაბური პროექტების განხორციელებას; სხვადასხვა სახის შეხვედრის, კონფერენციის, სიმპოზიუმ(ებ)ის, ჩვენების, ლექციის, ტურის, ვორქშოფის და მსგავსი ბუნების/ხასიათის ღონისძიების ჩატარების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოებაში კულტურული, შემოქმედებითი შეგნების ამაღლებას და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის ამაღლებას; წამყვან დასავლურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მეშვეობით თანამედროვე საერთაშორისო ხელოვნების პოპულარიზაციას საქართველოში, ხოლო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას საზღვრებს გარეთ; საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების შექმნას და აღნიშნულის მეშვეობით ქალაქ თბილისის იერსახის გალამაზებას.

ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, საჭიროა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა" (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის" (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის" დამტკიცება. აღნიშნული წესით განსაზღვრულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა" (კოდი: 08 10)

ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის გამოცხადების პროცედურა, საკონკურსო განაცხადების წარდგენის პროცედურა, საკონკურსო განაცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურა და ა.შ. აღნიშნული წესით გათვალისწინებული კონკურსი მოიცავს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შექმნის დაფინანსებას. კერძოდ, დაფინანსდება: ქალაქის საჯარო სივრცეებში ინსტალაციების (კონცეპტუალური ხელოვნების ობიექტი) განთავსება; ქალაქის საჯარო სივრცეებში ვიზუალური/აუდიოვიზუალური ხელოვნების პროექტების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; სხვადასხვა ფერწერული გამოფენის ორგანიზება.

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიას წარუდგინა წარმოდგენილ პროექტთან მიმართებით შემდეგი სახის **შენიშვნები:**

1. მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;
2. მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესი, დანართის შესაბამისად;
3. აგრეთვე, დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესი;
4. მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (შემდგომში – ფონდი) მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ პროგრამის (კოდი: 08 10) განხორციელებას. 2. ფონდი წესის განხორციელებას უზრუნველყოფს, ფონდის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, კონკურსების ჩატარების გზით, პროექტის დაფინანსებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში. 3. წესის განხორციელების მიზანია, თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაცია, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობის გაზრდა საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის; საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების პროექტების განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერა და მათი შემოქმედებითი ზრდის წახალისება; ღია კონკურსების გზით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება და ხელოვანების, მათ შორის ახალგაზრდა ხელოვანების ექსპერიმენტული, ინოვაციური, კრეატიული და მასშტაბური პროექტების განხორციელება; სხვადასხვა სახის შეხვედრის, კონფერენციის,

სიმპოზიუმ(ებ)ის, ჩვენების, ლექციის, ტურის, ვორქშოფის და მსგავსი ბუნების/ხასიათის ღონისძიების ჩატარების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოებაში კულტურული, შემეცნებითი, შემოქმედებითი შეგნების ამაღლება და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის ამაღლება; საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების შექმნა და აღნიშნულის მეშვეობით ქალაქ თბილისის იერსახის გალამაზება;

5. მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის დანართის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი გასწორდეს ტექნიკურად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ფონდი საკონკურსო განაცხადების ვადის დასრულებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ამოწმებს საკონკურსო განაცხადის დადგენილ ფორმასთან და ამ წესთან შესაბამისობას. თუ დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან/და არ არის სრულად წარმოდგენილი ფონდის დირექტორის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, ფონდი დაინტერესებულ სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეს;

6. მიზანშეწონილია ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტში მიეთითოს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული ფორმა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: თუ წარდგენილი საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25 000 ლარს (ოცდახუთი ათასი) ლარს, საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას, კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით იღებს კომისია;

7. ამასთანავე, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტში დაზუსტდეს საკონკურსო განაცხადზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის/კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ელენე ჭკუასელმა, გიორგი შარაშიძემ და ზურაბ ჩიკვილაძემ.

ელენე ჭკუასელის განცხადებით, დღესდღეისობით არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმები და ცენტრები, თუმცა მათი არსებობის პირობებშიც, საზოგადოების ნაწილს არ აქვს შესაძლებლობა იარონ მუზეუმებში და ეზიარონ თანამედროვე ხელოვნებას. აქედან გამომდინარე, პროექტების განხორციელებით მოხდება ტრადიციული სივრციდან გასვლა და ხელოვნების ადამიანებთან მიტანა.

გიორგი შარაშიძე დაინტერესდა, თუ ვინ იქნება გადაწყვეტილების მიმღები პირი საკონკურსო განცხადებებზე და რა პერიოდულობით ჩატარდება კონკურსები, რომელზეც ელენე ჭკუასელმა უპასუხა, საკითხზე მსჯელობა მოხდება კომისიური შემადგენლობით, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საჯარო ხელოვნების ფონდის წარმომადგენელთა და ორი მოწვეული დარგის სპეციალისტისგან. რაც შეეხება, კონკურსების პერიოდულობას, პირველ რიგში მოხდება ლოკაციების შერჩევა და ამის მიხედვით გამოცხადდება კონკურსი.

ზურაბ ჩიკვილაძე დაინტერესდა, თუ რა ოდენობის თანხა იყო გამოყოფილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში, რომელზეც სოფიო უგრეხელიძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპისთვის ფონდის ბიუჯეტი შეადგენს 500,000 ლარს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს და მხარს უჭერს წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა